ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 03 სექტემბერის № 41 913 ბრძანებით შექმნილი მუნიციპალიტეტის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის

## ო ქ მ ი № 37

ქ. ბაღდათი — 04 ოქტომბერი 2022 წ

**მარეხი მშვენიერაძე** - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე.
**კახა გოგსაძე** - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.
**ნოდარ ეზანოიძე** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - კომისიის წევრი.
**ლელა ფურცელაძე** - ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი.
**ნანა შოთაძე** - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.
**ნანა მიწაძე** - ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სპეციალისტი - კომისიის წევრი.

**დღის წესრიგი:**

1. სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ფინანსური დახმარების შესახებ შემოსული განცხადებების განხილვა
2. ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ანდრო ნერგაძის (პ/ნ 09001019276); და ლალი პატარიძის (პ/ნ 09001028527) განცხადებების განხილვა.

მომხსენებელი მ. მშვენიერაძე

**განიხილეს:**

ქვემოთ ჩამოთვლილი მოქალაქეების განცხადებები ფინანსური დახმარების თაობაზე:

1. [redacted], დედა [redacted] მისამართი: ბაღდათი, სოფ. ფერსათი;
2. [redacted], მისამართი: ბაღდათი, სოფ. ვარციხე;
3. [redacted] მისამართი: ბაღდათი, სოფ. ზეგანი;
4. [redacted] მისამართი: ქ. ბაღდათი აღმაშენებლის ქუჩაN 50
5. [redacted] მისამართი: ბაღდათი, სოფ. ზედა როხი;
6. [redacted] მისამართი: ბაღდათი, სოფ. დიდველა;
7. [redacted] მისამართი: ბაღდათი, სოფ. ზედა დიმი;

**აზრი გამოთქვეს:** კ. გოგსაძემ, ლ. ფურცელაძემ, ნ. შოთაძემ, ნ. მიწაძემ, ნ. ეზანოიძემ,

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**
ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაცვით წარმოდგენილი განცხადებებისათვის დახმარებები განისაზღვროს შემდეგნაირად

1. [redacted] გამოეყოს 100 ლარი;
2. [redacted] გამოეყოს 150 ლარი;
3. [redacted] გამოეყოს 100 ლარი;
4. [redacted] გამოეყოს 150 ლარი.
5. [redacted] გამოეყოს 100 ლარი.
6. [redacted] უარი, რადგან ვერ წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია.
7. [redacted] უარი, რადგან ოჯახის წევრს უკვე მიღებული აქვს დახმარება. (ზრძ N 66-66221087)

განიხილეს:

1. ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული [redacted] განცხადება.

სამუშაო შეხვედრაზე განსახილველი ოჯახის შეფასება და დასკვნა რეკომენდაცია წარმოადგინა ბავშვთა დაცვის განყოფილების უფროსმა ლელა ფურცელაძემ.

მომხსენებელმა აღინიშნა, რომ [redacted] შემოიტანა განცხადება „ბავშვთა ოჯახების გაძლიერების პროგრამაში ჩართვის მიზნით. ბატონი [redacted] ცხოვრობს სოფელ ნერგეეთში მეუღლესთან და სამ არასრულწლოვან შვილთან ერთად. ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და ღებულობს სოციალურ დახმარებას [redacted] და მის მეუღლეს აქვთ გამოცდილება ცხვრის მოვლის და ფიქრობს, რომ მისი შეძენის შემთხვევაში, გაამრავლებს და მისი ნამატით მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება.

მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული შეფასების დოკუმენტი, რის საფუძველზეც კომისიამ იმსჯელა განმცხადებლის პროგრამაში ჩართვის საჭიროებაზე.

**დაადგინეს:**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია [redacted] ოჯახს გამოუყოფს თანხას **800** (რვაასი) ლარის ოდენობით ცხვრის შესაძენად. გამოყოფილი თანხის მიზნობრივად მოხმარებაზე პასუხისმგებლობას იღებს მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გოჩა გოგოლაძე და მერიის ბავშვთა დაცვის განყოფილება.

**განიხილეს:**

2. ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული [redacted] განცხადება.

სამუშაო შეხვედრაზე განსახილველი ოჯახის შეფასება და დასკვნა რეკომენდაცია წარმოადგინა ბავშვთა დაცვის განყოფილების უფროსმა ლელა ფურცელაძემ.

მომხსენებელმა აღინიშნა, რომ [redacted] შემოიტანა განცხადება „ბავშვთა ოჯახების გაძლიერების პროგრამაში ჩართვის მიზნით. ქალბატონი [redacted] არის შშმ/პირი ცხოვრობს სოფელ პირველ ობჩაში დედის ოჯახში, თავად არის მარტოხელა დედა. ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და ღებულობს სოციალურ დახმარებას. ოჯახს აქვს მრავალმხრივი საჭიროება, რასაც დამოუკიდებლად ვერ აგვარებენ. სოც. მუშაკის შეფასებით იკვეთება, რომ საცხოვრებელ ფართში სველი წერტილი საერთოდ არ არის, შესაბამისად სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებიც არ არის დაცული, რაც საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობას. უპირველეს საჭიროებად იკვეთება წყლის სისტემის მონტაჟი საცხოვრებელ სახლში.

მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული შეფასების დოკუმენტი, რის საფუძველზეც კომისიამ იმსჯელა განმცხადებლის პროგრამაში ჩართვის საჭიროებაზე.

**დაადგინეს:**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია [redacted] ოჯახს გამოუყოფს თანხას **800** (რვაასი) ლარის ოდენობით წყლის სისტემის მოსაგვარებლად. გამოყოფილი თანხის მიზნობრივად მოხმარებაზე პასუხისმგებლობას იღებს მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ხვიჩა ზურჯანაძე და მერიის ბავშვთა დაცვის განყოფილება.

კომისიის თავმჯდომარე მ. მშვენიერაძე

წევრები გ. გოგსაძე

ნ. ეზანოიძე

ლ. ფურცელაძე

ნ. მინაძე

ნ. შოთაძე